თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2024 წლის 6 მარტი

ქ. თერჯოლა

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და 23-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში (ვებგვერდი – www.matsne.gov.ge, სსმ, სარეგისტრაციო კოდი: 010320010.35.126.016361, 14/12/2021წ.).

დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 და დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ბარათაშვილი**

დანართი №1

პოლიტიკური თანამდებობის პირები და მათი თანამდებობრივი სარგოები

N		
	თანამდებობის დასახელება	**თანამდებობრივი სარგო (ლარი)**
1	საკრებულოს თავმჯდომარე	5453
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	4123
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (2)	3591
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე (5)	2926
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე (3)	2660
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე (7)	2128

დანართი №2

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა

საშტატო ნუსხა, რანგები და თანამდებობრივი სარგოები

N	პროფესიული საჯარო მოხელე	შტატის ოდენობა	რანგი	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	აპარატის უფროსი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	I	2660
2	საქმის წარმოების და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	II	2128
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	1	III	1729
4	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1	III	1729
5	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი — პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი	1	III	1729
6	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში	1	III	1596
7	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	1	III	1596
8	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საოქმო და საარქივო საკითხებში	1	III	1596
9	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში	1	III	1596
10	მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1	IV	1330